ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4639751

ნომერი: AR1702203

თარიღი : 19.08.2019

გაცემის თარიღი : 20.08.2019

გაცნობის თარიღი : 22.08.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , მიკრო/რაიონი XI , კვარტალი I , (ნაკვეთი 1/47);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ კუხალაშვილი პ/ნ 01030018544
- დ.აღმაშენებლის 75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 აგვისტოს №AR1702203 განცხადებით მომართა ზურაბ კუხალაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 16

აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09 აგვისტოს №AR1699790 განცხადებით მომართა ზურაბ კუხალაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, XI მიკრო/რაიონში, I კვარტალში №01.12.04.001.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 1/47), I კლასის დროებითი საინჟინრო დანადგარების, აგრეგატების განთავსებაზე სამსახურის მიერ წერილობითი დასტურის გაცემა.

სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა, ტექნიკური შეცდომის გამო 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილების პირველი აბზაცი არასწორად ჩამოყალიბდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის შესწორებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილების პირველი აბზაცი არასწორად ჩამოყალიბდა, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილებაში და აღნიშნული გადაწყვეტილების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი ელექტრონული განცხადება, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თემქის დასახლება, XI მიკრო/რაიონში, I კვარტალში, (ნაკვეთი 1/47), შპს №5 კლინიკური საავადმყოფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი საინჟინრო დანადგარების, აგრეგატების განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა, სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №882019277207, მომზადების თარიღი: 19/04/2019, საკადასტრო კოდი: №01.12.04.001.047, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, თემქის დასახლება, XI მიკრო/რაიონში, I კვარტალში (ნაკვეთი 1/47), შპს №5 კლინიკური საავადმყოფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი საინჟინრო დანადგარების, აგრეგატების განთავსების შესაძლებლობას''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 აგვისტოს №4634113 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.